ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტუდენტი: ფიქრია მწყერაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი:

თავად წერეთლების საქტიტორო მოღვაწეობა XVI-XVIII საუკუნეებში

ნაშრომი შესრულებულია შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის

შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ ჯოჯუა

თბილისი 2026

აბსტრაქტი

XV საუკუნის მეორე ნახევრში საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლისა და ახალი ქართული სამეფო-სამთავროების წარმოქმნის შემდეგ, მნიშვნელოვნად შეიცვალა ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის სისტემა, კერძოდ კი, ჩამოყალიბდა მსხვილი ფეოდალური იერარქიულ-პოლიტიკური ორგანიზაციები – სათავადოები. ამ ორგანიზაციებს შორის იყო წერეთლების სათავადო, რომელიც XVI-XVIII საუკუნეებში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა იმერეთის სამეფოს სამხედრო-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, სამართლებრივ და საეკლესიო-კულტურულ ცხოვრებაში.

წერეთლების სათავადოს მნიშვნელობასა და დაწინაურებულ მდგომარეობას ნათლად წარმოაჩენს ის მრავალრიცხოვანი სოფლები და ყმა-მამულები, ციხეები და სასახლე-რეზიდენციები, რომლებიც წერეთელებს ეკუთვნოდათ. წერეთლების სათავადოს ადგილსა და როლს XVI-XVIII საუკუნეების იმერეთისა სამეფოსა და ზოგადად, საქართველოს ცხოვრებაში არანაკლებ კარგად წარმოაჩენს წერეთლების საქტიტორო მოღვაწეობა, ე.ი. მათ მიერ სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებისათვის გაწეული სხვადასხვა სახის სამსახური, თუმცა ეს მრავალმხრივ საინტერესო საკითხი აქამდე არასოდეს გამხდარა სსაფუძვლიანი შესწავლის საგანი.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ აღნიშნული ისტორიოგრაფიული ხარვეზის დაძლევის მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს. ის მიზნად ისახავს, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კუთხით შეისწავლოს წერეთელთა სათავადოს ცალკეული წევრების მიერ კონკრეტული ეკლესია-მონასტრების მიმართ გაწეული ქტიტორული ღვაწლის მიზნები, ხასიათი და შედეგები, აგრეთვე, ხსენებული

ეკლესია-მონასტრების მიერ წერეთლების მიმართ ნაკისრი ვალდებულებები და მოვალეობები.

ნაშრომში წერეთლების სათავადოს საქტიტორო მოღვაწეობის შესწავლის გარდა, განხულილი იქნება ისეთი საკითხები როგორიცაა: წერეთლების სათავადოს განვითარების ეტაპები, სათავადოში შემავალი მამულების გეოგრაფია, წერეთლების კუთვნილი ციხეები და სასახლე-რეზიდენციები და სხვ. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ ეკლესია-მონასტრების ისტორიის მიმოხილვას, რომლებიც იმთავითვე წერეთლების ქტიტორობით იყო აგებული, მოხატული და განშვენებული ან კიდევ, თავდაპირველად სხვა საგვარეულოების საკუთრებას წარმოადგენდა და წერეთლების მფლობელობაში მოგვიანებით იყვნენ გადასული.

Abstract

In the second half of the fifteenth century, following the dissolution of the unified Georgian state and the emergence of new Georgian kingdoms and principalities, the territorial and administrative structure of the country underwent significant transformation. In particular, large feudal hierarchical and political entities—satavados (feudal lordships)—were formed. Among these was the Tsereteli feudal lordship, which played a crucial role in the military-political, socio-economic, legal, and ecclesiastical-cultural life of the Kingdom of Imereti during the sixteenth to eighteenth centuries.

The importance and elevated status of the Tsereteli lordship are clearly demonstrated by the numerous villages and dependent estates, as well as the fortresses and palace-residences, that belonged to the Tsereteli family. The place and role of the Tseretelis in the life of the Kingdom of Imereti in the sixteenth to eighteenth centuries, and in Georgian history more broadly, are no less clearly reflected in their ktitorial (patronage) activities, that is, the various forms of service and support they provided to churches and monasteries. Nevertheless, despite its multifaceted significance, this issue has never before been the subject of specialized scholarly research.

The present study represents a modest attempt to address this historiographical gap. Its aim is to examine, from a historical and source-critical perspective, the objectives, nature, and outcomes of the ktitorial contributions made by individual members of the Tsereteli lordship to specific churches and monasteries, as well as the

obligations and responsibilities assumed by these ecclesiastical institutions toward the Tsereteli family.

In addition to the study of the ktitorial activities of the Tsereteli lordship, the research addresses a number of related issues, including the stages of development of the Tsereteli feudal lordship, the geographical distribution of the estates within it, and the fortresses and palace-residences owned by the Tseretelis. Particular attention is devoted to an overview of the history of churches and monasteries that were originally built, painted, and adorned under Tsereteli patronage, as well as those that initially belonged to other noble families and were later transferred into Tsereteli ownership.